პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 6 თებერვალი 1926 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.

# წითელი მეომარი

27 (1022) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქ. 3 ტელეფონი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ორი დღესასწაულისათვის

ახლოვდება საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავი. ამასთანავე ერთად ახლოვდება ჩვენი წითელი არმიის არსებობის რვა წლის თავის დღესასწაულიც. ორივე ამ დღესასწაულების მნიშვნელობა ფართოდ უნდა აღინიშნოს ამ წელში და ყველამ კარგად უნდა შეისწავლოს საქართველოს გასაბჭოებისა და წითელი არმიის 8 წლის თავის დღესასწაულების შინაარსი.

ამ დღესასწაულების სათანადოთ ჩატარებისათვის ზოგიერთ ნაწილებში უკვე დაიწყო წინასწარი სამზადისი. საჭიროა დანარჩენი ნაწილებიც შეუდგენ სამისო სამზადისს. თუ, როგორ უნდა ჩატარდეს წითელი არმიის 8 წლის თავი, ამის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით ამ რამოდენიმე დღის წინად. მხოლოდ ადგილებზე მომუშავე ამხანაგებს ამ კამპანიის ნაყოფიერად და შინაარსიანად გატარებაში დიდ სამსახურს გაუწევთ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებული თეზისები წითელი არმიის რვა წლის თავის შესახებ.

კერძოდ საქართველოს გასაბჭოების კამპანიის გატარება ჩვენს ნაწილებში ჩვენ გვავალებს დიდი ანგარიში გაუწიოთ იმ გარემოებას, რომ ნაწილები ამ ჟამად შევსებულია ახალწვეული წითელი არმიელებით, რომელთა შორის პირველად ტარდება ეს კამპანია. გარდა ამისა ეს კამპანია პირველად ტარდება 1903 წელში დაბადებულ ცვალებად წითელ არმიელთა და წვევამდელთა შორის.

ამიტომ ჩვენი მოვალეობა იქნება სერიოზული ყურადღება მივაქციოდ ყოველივე ამას და სათანადოთ გავაშუქოთ მათ შორის დღესასწაულის მთელი შინაარსი და მისი მნიშვნელობა.

ადგილებზე მომუშავე ამხანაგებმა კარგად უნდა აუხსნან წითელ არმიელთა, ცვალებადელ წითელ არმიელთა და წვევამდელთა ფართო მასას საქართველოს გასაბჭოების მიზეზები, მენშევიკების ბატონობის ხანა, მუშებისა და ღარიბი გლეხების მაშინდელი პოლიტიკური და ეკონომიური მწვავე მდგომარეობა და ამ ნიადაგზე აღმოცენებული შეიარაღებული აჯანყებები მენშ. მთავრობის წინააღმდეგ, ნაციონალური ომები შინაურ და მეზობელ ერებთან და სხვა მრავალი.

გარდა ამისა კარგად უნდა განმარტებულ იქნას ჩვენი საერთო მიღწევები ამ ხუთი წლის განმავლობაში პოლიტიკურ და ეკონომიურ დარგში და განსაკუთრებით კი ხაზი გაესვას ქართული წითელი არმიის ჩამოყალიბება-განმტკიცებას.

ამ კამპანიების ჩატარება უნდა მოხდეს სამოქალაქო ორგანიზაციებთან მტკიცე კონტაქტში.

მათთან საერთო კრებებზე უნდა გაკეთდეს მოხსენებები წითელი არმიის აღმშენებლობაზე და საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის მნიშვნელობაზე.

ნაწილების პარტ-ორგანიზაციებმა, კლუბებმა, სამკითხველოებმა, სამხკოჯრებმა და სხ., უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ დიდმნიშვნელოვან დღესასწაულების სათანადოთ და გეგმიანად ჩატარებას და აქედანვე შეუდგენ სამისო სამზადისს.

## ახალ ბრძოლების წინ ინგლისში.

უკანასკნელ ხანებში ინგლისი თავის საგარეო პოლიტიკაში ჩვეულებრივად წინეთ ხმარებულ იარაღის და მუქარის ნაცვლად კონფერენციებს და დაპირებას მიმართავს. ასე იქცევა ის ჩინეთის მიმართ, სადაც მის აღვირახსნილობას საზღვარი არ ქონდა და მოსულის საკითხის მოგვარება, მათ გაზეთებს რომ დაუჯეროთ, ინგლისის 'მთავრობას, თითქოს, სურს მშვიდობიან გზით გადაწყვიტოს. რით აიხსნება ინგლისის კონსერვატორულ მთავრობის ასეთი „მშვიდობიანი“ პოლიტიკა?

უკვე არავისათვის დასამალი არ არის, რომ ინგლისის შინა მდგომარეობა ისეა არეული, რომ ეს გარემოება ძლიერ უფრთხობს ძილს ინგლისის ბურჟუაზიის მესვეურებს. და თუ ინგლისის ბურჟუაზია ახალ ჰანგებზე მღერის ეს მხოლოდ ამ გარემოებით აიხსნება.

ინგლისის საგარეო პოლიტიკაში არასოდეს არ ყოფილა სიმშვიდე და მით უფრო ეხლა. ეგვიპტე თუ ინდოეთში და ყველა მის მუსულმანურ ახალშენებში ერთს მეორე აჯანყება მოსდევს და დანარჩენ ახალშენების, ავსტრალია და კანადას, ჩამოშორება ინგლისისაგან კი სულ მცირე დროის საკითხია.

ამ გარემოებას მუდამ დაჭიმულ მდგომარეობაში ყავს ინგლისის ბურჟუაზია.

როგორი მდგომარეობაა შიგ ინგლისში? აქაც უნუგეშოდაა საქმე.

სულ ახლო ხანში დასრულდა ინგლისის რკინის გზელთა გაფიცვა, რომელიც უკანასკნელთა ნაწილობრივ გამარჯვებით დამთავრდა. ინგლისი ახალი, უფრო საშიშ გაფიცვის წინაშე სდგას. მისი მრეწველობის უდიდეს ნაწილს შეადგენს ქვანახშირის მრეწველობა.

ინგლისის მუშათა კლასის უდიდესი ნაწილი ამ მრეწველობაშია დაბანდული. მაღაროების მეპატრონეთა და მუშებს შორის დიდი ხანია სწარმოებს დავა ხელფასის გადიდების თუ შემცირების შესახებ. შარშანდელი გაფიცვა მით დასრულდა, რომ ინგლისის მთავრობამ სუბსიდია, რომელიც ათასი მილიონი მანეთობით თვეში განიზომება, დაუნიშნა მეპატრონეებს, რომ მათ დაეფარათ მუშა ხელფასის გადიდების ხარჯი. ეხლა კი მთავრობა უარს აცხადებს მომავალში სუბსიდიის მიცემაზე, მაშასადამე მოსალოდნელია მემაღაროეთა ახალი გაფიცვები, ვინაიდან ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მუშები დასთანხმდენ ხელფასის შემცირებაზე. ინგლისის ისედაც აწეწილ მრეწველობას ახალი საფრთხე მოელის. ამიტომაც არის, რომ ინგლისი თითქოს ლმობიერი შეიქნა ამ ბოლო დროს და უჩვეულო ენით ლაპარაკობს, მაგრამ თუ მან შესძლო ამ კრიზისის დაძლევა, რაც ძლიერ საეჭვოა, ის ხელახლა შეტევაზე და ძველ პოლიტიკაზე გადავა.

ნ.

# ახალი რადიო ამბები

## პროტესტები და მოწოდებები ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ.

შანხაიში იაპონიის ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლ კომიტეტმა გამოაქვეყნა პროტესტი იაპონიის ცდების წინააღმდეგ ჩაახშოს ეროვნული მოძრაობა ჩინეთში.

გომინდანის (ჩინეთის სახალხო რევოლიუციონური პარტია) შანხაის კომიტეტი მოუწოდებს ხალხს გაერთიანდენ ბრძოლაში იაპონიის მიერ მოსყიდულ გენერლების წინააღმდეგ.

შანხაის საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოითხოვენ ჩან-ძო-ლინისაგან თავი შეიკავოს თეთრგვარდიელთა დაქირავებისაგან, ვინაიდან ამას შეუძლია დაარღვიოს მეგობრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან.

## ინგლისის ნახშირის სამრეწველოებს შეუწყდებათ დახმარება

ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრ ჯონსონ-ხიქსმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა:

„ქვანახშირის მრეწველობაზე მთავრობის დახმარების გაგრძელების შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია“.

ეს განცხადება მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის პირველად არკვევს მთავრობის პოზიციას ამ საკითხში.

## პოლონეთის მთავრობა რღვევის წინაშე.

ებრაელ დემოკრატების გაზ. „მომენტი“-ს ცნობით პოლონეთის მთავრობა რღვევის წინაშე სდგას.

გაზეთი აცხადებს, რომ პოლონეთის მენშევიკებმა საბოლოოდ გადასწყვიტეს გავიდენ მთავრობიდან, პიასტოველები (შეძლებულ გლეხთა პარტია) აწარმოებენ მუშაობას მემარჯვენე—ცენტრალურ კავშირის შესაქმნელად, ხოლო მემარჯვენეები აწარმოებენ მოლაპარაკებას გენერალ სიკორსკისთან და ასახელებენ მას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე.

## პოლონეთის „ოხრანკის“ მუშაობა

დისნესა და ბრესლავის მაზრებში პოლონეთის პოლიციამ დახურა მრავალი სოფლის კომუჯრედი. დაპატიმრებულია 50 გლეხზე მეტი.

ზამოსტიეში დაიწყო 52 გლეხის გასამართლება, რომელთაც ბრალდებათ უკრაინის კომპარტიის წევრობა.

## საბჭოთა კავშირში

### ავსტრიის მუშათა დელეგაცია

ავსტრიის მუშათა დელეგაციამ ინახულა საკავშირო პროფკავშირთა საბჭო. დელეგაციამ სამი საათის განმავლობაში ისაუბრა ამხ. მელნიჩანსკისთან საბჭოთა პროფკავშირების ორგანიზაციასა და მუშაობის შესახებ.

დელეგაცია დაწვრილებით გაეცნო მუშათა შრომის ხელფასის პირობებს, პროფკავშირთა საგანმანათლებლო მუშაობასა და სხვა.

### ლობოვი დაინიშნა რსფსრ-ს უმაღლ. სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარედ

საკავშირო ცაკმა დაადგინა განთავისუფლებულ იქნას ძერჟინსკი რსფსრ-ს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობისაგან და მის ადგილას დაინიშნოს ლობოვი.

### რადიოს მეგობართა ყრილობა

რადიოს მეგობართა საზოგადოების საკავშირო ყრილობა, რომელიც უნდა გახსნილიყო 8 თებერვალს, გადატანილია თებერვლის ბოლო რიცხვებში. ყრილობის ყველა სხდომები გადაცემულ იქნება რადიოთი.

## საქართველოში

### საარჩევნო კამპანია.

#### ლიუქსემბურგში

ლიუქსემბურგის მთელ მაზრაში დამთავრდა საარჩევნო სიების შედგენა.

არჩევნები დაიწყება 15 თებერვლიდან.

გლეხობა დიდ აქტივობას იჩენს არჩევნებისადმი.

#### ახალ-სენაკში.

შესდგა თემების საარჩევნო კომისიების თათბირი. განხილულ იქნა საარჩევნო კამპანიის ინსტრუქცია და გამომუშავებულ იქნა ღონისძიებანი არჩევნების საქმეში.

## აჭარისტანში.

### აჭარისტანის მომარაგება.

„პურის ნაწარმოების“ ბათომის განყოფილება მიიღებს ამ დღეებში 19.500 ფუთს ყუბანის ფქვილს. „ზაკსოიუზი“ (ამიერ-კავკასიის კავშირი) მიიღებს შაქრის ტრესტთან ხელშეკრულების მიხედვით 15.000 ფუთ შაქარს აჭარისტანისთვის.

### წყალსადენი სოფლებს.

აჭარისტანის აღმასკომმა გაანაწილა მაზრაში რამოდენიმე წყალსადენის მილები.

პირველ რიგში დაკმაყოფილებულ იქნა ის თემები, რომლებიც მეტ საჭიროებას განიცდიან ამ მხრივ.

თვითეულ თემს ჯერ-ჯერობით მოუწია 172 წყალსადენის მილი.

### მეთამბაქოეთა საზოგადოება

აჭარისტანის ცეკავშირმა მოაწყო ხულოს მაზრაში ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმო საზოგადოება მეთამბაქოეთა.

საზოგადოებას ჯერჯერობით მიეცა 4.000 მანეთი.

# თეზისები მოხსენებისთვის

## წითელი არმიის მე-8 წლის თავის შესახებ.

1. წითელი არმიის წლისთავის დღესასწაული წარმოადგენს მოგონებას მის გმირულ ბრძოლებსა და დიდ დამსახურებაზე ოქტომბრის რევოლუციისა და მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე. გასულ წელში წითელმა არმიამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა თავისი საუკეთესო ბელადის, მა[...]ვლენებლისა და ნიჭიერი სა[...]ლის—ამხ. მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს დაკარგვით. მით უფრო გაძლიერებულ უნდა იქნას კოლექტიური ღონისძიებანი, მიმართული იმ მხრივ, რომ წითელი არმიის თვითეული ახალი წლის თავი მოწმობდეს მისი საბრძოლო ძლიერების განმტკიცებასა და ზრდას.

2. წითელი არმიის მე-8 წლისთავზე ჩვენ მოწამენი ვართ საბჭოთა კავშირის სამეურნეო და პოლიტიკურ ძლიერების სწრაფი ზრდისა და დიდი მიღწევების სოციალიზმის აღმშენებლობის საქმეში. მაგრამ საბჭოთა მთავრობა მუდმივ მზად უნდა იყოს—მოიგერიოს თავდასხმა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მხრივ. პოლიტიკურად და ეკონომიურად შედარებით მოღონიერებულ ქვეყნებს არ შეუძლიათ შეურიგდენ აყვავების გზაზე შემდგარ სოციალისტურ რესპუბლიკის არსებობას. ამიტომ, მიუხედავად საბჭოთა კავშირის მშვიდობიან აღმშენებლობის ხანგრძლივი პერიოდისა, წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის თანდათან იზრდება და იბადება [...]მენა შეტაკების აუცილებლობისა მათ შორის.

3. დღევანდელი საერთაშორისო გარემოება განისაზღვრება წინააღმდეგობათა გამწვავებით არა მარტო ბურჟუაზიულ ქვეყნების საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში, არამედ თვით კაპიტალისტურ ქვეყნების ურთიერთშორის დამოკიდებულებაშიც, და აგრეთვე ამ ქვეყნებ შიგნით კლასობრივ ურთიერთობის გამწვავებით, რაც გამოიხატება კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში გაჩაღებულ განმათავისუფლებელ მოძრაობასა და ეროვნულ ომებში (ჩინეთი, სირია, მაროკო, ინდოეთი), მუშათა მოძრაობის ზრდასა და მის სიყვარულში საბჭოთა კავშირისადმი. (ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისთვის, მუშათა დელეგაციები საბჭოთა კავშირში).

4. ამ წინააღმდეგობათა ზრდა და გამწვავება იწვევს: თავბრუდამხვევ სისწრაფეს კაპიტალისტურ ქვეყნების სამხედრო ტეხნიკის განვითარებაში, რომლის მიზანია უმწვერვალესად განავითაროს მოპირდაპირის გასაჟლეტი საშუალებანი მომავალ შეტაკებებში; 2) შეიარაღების გაფართოებასა და გაღრმავებას. 1914 წელთან შედარებით ბურჟუაზიული ქვეყნების (ნეიტრალურ და გამარჯვებულთა) არმიის რაოდენობა გაიზარდა 1.192.000 კაცით, ხოლო სამხედრო ბიუჯეტი (ხარჯთაღრიცხვა) გადიდებულ იქნა 556 მილ. მანეთით.

5. კაპიტალისტური ქვეყნების მუშაობა სამხედრო ძლიერების გადიდების საქმეში სრულიად ეწინააღმდეგება მათ განცხადებებს განიარაღების შესახებ და მოწმობს იმას, რომ ყველა მათი კონფერენციები და კერძოდ, უკანასკნელი ლოკარნოს კონფერენცია, მისი „საგარანტიო ხელშეკრულობით“ ნიშნავს არსებითად ძალების დაწყობას ახალი ომებისთვის“ და მეტს არაფერს (პარტიის მე-14 ყრილობა).

6. აქედან აუცილებლად გამომდინარეობს საჭიროება საბჭოთა კავშირისთვის სერიოზულად ემზადოს თავდაცვისთვის. ამასთან დაკავშირებით წითელი არმიის ბელადი—საკავშირო კომპარტია (ბ) თავის უკანასკნელ მე-14 ყრილობაზე იძლევა გადამჭრელ დირექტივას: „წარმოებულ იქნას მშვიდობიანობის პოლიტიკა“ და ამასთან ერთად „მიღებულ იქნას ყველა ზომები ქვეყნის გასაძლიერებლად წითელი არმიისა და წითელი საზღვაო, საჰაერო ფლოტის ძლიერების ასამაღლებლად.“

7. სამხედრო ტეხნიკის (ავიაციის, ქიმიისა და სხვა) უდიდესი განვითარება ომის შემდეგ უკანასკნელ წლებში და ამასთან ერთად მომავალი შეტაკების აუცილებელი კლასობრივი ხასიათი თავისთავად საზღვრავენ მომავალი ომის გამონაკლის შესაძლებლობებს.

საჰაერო ფლოტი, მხუთარი აირები, რადიოფიკაცია და სხვა,—ყველაფერი ეს ალგვის საზღვრებს ზურგსა და ფრონტს შორის და, ბუნებრივია, გახდის ყველა მოქალაქეებს ომის უშუალო მონაწილეებად.

8. ქვეყნის მოგერიებისათვი მომზადება აყენებს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წინაშე ამოცანების მთელ რიგს, რომლებიც უფრო გაღრმავებულ იქნა საბჭოთა საკავშირო ყრილობის მიერ, მათი ძირითადი მიზნებია მუშურ-გლეხური რეგულიარული არმიის გადახალისება, მრეწველობის გაფართოება და გასამხედროება, სამხედრო ტეხნიკის, უმთავრესად, ქიმიისა და ავიაციის განვითარება, და მთელი სამოქალაქო მოსახლეობის სამხედრო მომზადება.

9. პირველი ამოცანა—წითელი არმიის გადახალისება—გადაჭრილია ორი პრინციპის საფუძველზე: ერთის მხრით, ვილტვით რა შევქმნათ მოგერიების არმია და არა თავდასხმის, ყოველმხრივ უნდა შეუწყოთ ხელი ქვეყნის ეკონომიურ განვითარების ტემპის დაჩქარებას მოსახლეობისათვის არმიის შესანახ ხარჯების შემსუბუქებით და მშრომელთა მშვიდობიან შრომისაგან ნაკლები დროით მოწყვეტის გზით; მეორეს მხრივ—უზრუნველვყოთ საბრძოლო ძალების ფართედ დარაზმვა ომის საფრთხის შემთხვევისათვის.

10. ამასთან შეფარდებით შემცირებულ იქნა ჩვენი კადრის რეგულიარული არმია. მისი რაოდენობა 1923 წ. 610,000-დან ჩამოყვანილ იქნა 562.000 წითელ არმიელამდი (მეთაურებისა და პოლიტმომუშავეთა ჩათვლით).

შიგნით მისი გადახალისების გზით შექმნილ იქნა უფრო ძლიერი და მტკიცე ორგანიზაციული ფორმები, გაუმჯობესებულ იქნა სასწავლო და სამხედრო მუშაობის საქმე,—ამიტომ მის რიცხობრივ შემცირებას არამც თუ არ მოუხდენია რაიმე უარყოფითი გავლენა ბრძოლის უნარიანობაზე, არამედ, პირიქით, ჩვენი წითელი არმიის ძლიერება უფრო გაიზარდა.

(გაგრძელება იქნება)

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტპროპგანყოფილება.

მ. გ. წ. არმიის პოლიტ-სამმართველოს აგიტ. პროპგანყოფილება.

# არმიის მე-4 პარტიული კონფერენცია.

## კონფერენციის დახურვა.

4 თებერვალს, დილის სხდომაზე კონფერენციამ მიიღო რეზოლიუციები დღის წესრიგის საკითხების გარშემო და შემდეგ მოხდა არმიის პარტიულ კომისიის არჩევნები.

პარტკომისიაში არჩეული იქნენ შემდეგი ამხანაგები: ვაცეკი, სტილმახი, გუცალო, ნიკოლაევი, ანტონოვი, გუბინი, ტიგიშვილი, გურგენიანი, პაპოვი, ეგოროვი, ბაზინი, პავერმანი.

კანდიდატებად არჩეული არიან: ამხ. ამხ. ციმანი, გამედოვი, ბაკოვი, შაშინა.

ამხ. რატნეკის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

# სამხედრო საქმე.

## ხიშტით ბრძოლა

სროლის საქმე მოითხოვს განუწყვეტელ ვარჯიშს, ხელების ღონის განვითარებას, შაშხანის მიუბჯენლად ხმარების დაჩვევას, დამიზნებასა და ფეხის გამოშლის შესწავლას ისე, როგორც წესი და რიგია.

დროებითი სასროლო წესდება ხელში ღონის გასავითარებლად ურჩევს სასროლო ვარჯიშს.

ამისთვის წესდებაში ნაჩვენებია ვარჯიშის ნიმუში—მარჯვენა ხელით, მარცხენას დაუხმარებლად მსროლელმა უნდა დაუმიზნოს შაშხანა და რაც შეიძლება მეტ ხანს გააჩეროს ის ამ მდგომარეობაში. შემდეგ ეს მოძრაობა უნდა გაიმეოროს რამოდენიმეჯერ.

ასეთი ვარჯიში უსათუოდ მეტად სასარგებლოა ხელში ღონის გასავითარებლად. მაგრამ აქ საჭიროა ერთგვარი თანდათანობის დაცვა და სიფრთხილე ხიშტისა და შაშხანის სხვა ნაწილებისადმი, რათა ისინი დაზიანებულ არ იქნან. თუ ამ შემთხვევაში მსროლელი დაუდევრად მოეპყრა შაშხანას, ხიშტი გაიღრიკება ან გადატყდება და მასთან დაზიანდება სხვა ნაწილებიც.

სხვა ვარჯიშს გარდა ხელში ღონის განვითარების საქმეში დიდ სარგებლობას მოიტანს ვარჯიში ხიშტით ბრძოლაში. პროგრამაში ვარჯიშის ამ სახეს თითქმის არც კი აქვს ადგილი დათმობილი; მომავალ ომებში ჩვენ მოგვიხდება იერიშზე მისვლა, მაშასადამე ხიშტის ხმარება, ანუ ხიშტით ბრძოლის ცოდნა ჩვენთვის აუცილებელია.

ამას გარდა ხიშტით ჩხვლეტა, როგორც ხელში ღონის განვითარების ერთ-ერთი ვარჯიში, მეტად სასარგებლოა და მნიშვნელოვანი ადგილი აქვს სასროლო ვარჯიშში. ამიტომ შაშხანის მეცადინეობის დროს ყოველთვის 5-10 წუთი უნდა დაეთმოს ხიშტით ბრძოლის სწავლებას, რაც უსათუოთ სარგებლობას მოიტანს.

უნდა აღვნიშნოთ ერთი სასიხარულო მოვლენა, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს ნაწილებში—ესაა თვით მეომართა ლტოლვა ვარჯიშის ამ სახისადმი.

მეომრები მეცადინეობაში შესვენების დროს დამოუკიდებლად ვარჯიშობენ ხიშტით ბრძოლაში, რასაც ხშირად შეჯიბრის ხასიათი აქვს. საჭიროა მეომართა ეს მიდრეკილება წახალისებულ იქნას და ხიშტით ბრძოლაში ვარჯიშს მეტი ყურადღება მიექცეს, ვინემ დღემდის.

ი. ბ.

# კომკავშირის მუშაობის ამოცანები.

## მე-14 ყრილობის გადაწყვეტილებანი კომკავშირის მუშაობის შესახებ.

პარტიის მე-14 ყრილობამ თავის დადგენილებებში სერიოზული ყურადღება მიაქცია კომკავშირის მუშაობის საკითხებს.

ეს გასაგებია, ვინაიდან თანდათან იზრდება ჩვენი ქვეყნის მეურნეობა, მტკიცდება პოლიტიკური მდგომარეობა, იზრდება მშრომელი მასების და, პირველ რიგში, მშრომელ ახალგაზრდობის აქტივობა. უკანასკნელ წლის განმავლობაში კომკავშირი საგრძნობლად გაიზარდა როგორც თავის წევრთა რაოდენობით, ისე ახალგაზრდობაზე თავისი გავლენით.

ამჟამად კომკავშირი შეიცავს ნახევარს მუშათა და საგრძნობ ნაწილს გლეხური ახალგაზრდობისას.

ამიტომ პარტიის ყრილობამ ანგარიში გაუწია კომკავშირის ამ განუწყვეტელ ზრდას, მის გავლენის გაძლიერებას ახალგაზრდობაზე და კომკავშირის მუშაობაში ნაკლს და გამოიტანა დადგენილებათა მთელი რიგი კომკავშირის მუშაობის გაუმჯობესებისა და ამ მუშაობის დაკავშირების შესახებ ჩვენი პარტიის მუშაობასთან საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში.

კომკავშირის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება კომკავშირელთა შორის. ამ მუშაობამ უნდა დააკმაყოფილოს ახალგაზრდობის მოთხოვნილება, რომელიც დაკავშირებულია მათ ყოფა-ცხოვრებასთან, მუშაობის სურვილთან, ცოდნის მიღების სურვილთან. მეორეს მხრივ—აღზარდოს მთელი კომკავშირი, რომ მას შეეძლოს თავისუფლად გაიგოს მუშათა და გლეხთა რევოლიუციური ბრძოლის შინაარსი, საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებანი მეურნეობისა და პოლიტიკის დარგში, ჩვენი რევოლიუციის საერთაშორისო მნიშვნელობა, ჩვენი ბრძოლისა და მუშაობის უკანასკნელი მიზნები და დაბრკოლებანი მათი განხორციელების გზაზე. ეს ამოცანა მეტად სერიოზული და საპასუხისმგებლოა იმიტომ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ნამდვილი მდგომარეობის სწორი გაგება და ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს თვითეულ კომკავშირელისთვის. ამიტომ კომკავშირის აღზრდის საქმეში საფუძველი უნდა იყოს ლენინიზმის შესწავლა.

ყრილობამ დაისახა ამოცანად მთელი მუშათა ახალგაზრდობის, აგრეთვე მოჯამაგირეების, ღარიბ და საშუალო შეძლების ახალგაზრდობის მიზიდვა კომკავშირში. მოჯამაგირე ახალგაზრდობის მიზიდვა კომკავშირში პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანაა. ეს დიდი ამოცანა შეიძლება განხორციელებულ იქნას კომკავშირის მუშაობის დიდი გაცხოველებით. ამ მიზნით ყრილობამ მიიღო მთელი რიგი ზომებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას. ამისთვის საჭიროა კომკავშირის აქტივის გაძლიერება, პარტიის ყურადღების გაძლიერება კომკავშირის მუშაობისადმი, პარტიულების რაოდენობის გადიდება კომკავშირში, პარტიულ ხელმძღვანელობის და კომკავშირისადმი დახმარების გაძლიერება.

ყრილობის მიერ კომკავშირის წინაშე დასახულ საერთო ამოცანების მიხედვით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კომკავშირის მუშაობის გაძლიერებას არმიაში. არმიაში კომკავშირის მუშაობის გაძლიერების მიზანია ხელი შეუწყოს წითელი არმიის საბრძოლო უნარის გაძლიერებასა და განმტკიცებას.

პარტიის ყრილობის ამ დადგენილებებმა უნდა მიიპყროს არმიაში მთელი კომკავშირის ყურადღება და მათი ასრულებისაკენ მიმართულ უნდა იქნან მთელი ძალები. კომკავშირის აღზრდა ყრილობის მიერ ნაჩვენებ გზით და კომკავშირის გავლენის ზრდა წითელარმიელებზე,—აი პრაქტიკული ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის ყრილობის დადგენილებათაგან.

ქ. ზ.

# როგორ უნდა სწმიხდო შაშხანა.

## გაუფრთხილდი შაშხანას, ის საუკეთესო მეგობარია ბრძოლაში.

ყველასათვის ცხადია გამოქანგული შაშხანა ომის დროს არ მოხვდება ნიშანში. აგრეთვე თვითეულ სამხედრო მსახურმა იცის, რომ შაშხანა უნდა სწმინდოს და კარგად, დაუზიანებლად შეინახოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის თავის დანიშნულებას დაჰკარგავს. ამასთან შაშხანა უნდა სწმინდო ფრთხილად, ყურადღებით და თანდათანობით.

დღემდის შაშხანას სწმენდენ ზუმბით სატუჩურის გაუკეთებლად, რაც აფუჭებს ლულას, მიუხედავად, იმისა, რომ ჩვენს ნაწილებში მოიპოვება შაშხანის ტუჩის საფარი, წმენდის დროს წითელ არმიელები მაინც არ ხმარობენ მას ხშირად.

ეს კი იწვევს შაშხანის ლულაში ხვეულ ღარების გაფუჭებას და შაშხანა ამ რიგად მალე უვარგისი ხდება.

სპეციალისტების მიერ გამორკვეულია, რომ ყველა ზემოჩამოთვლილ წესების დაცვის დროსაც კი ლულის შიგნით ხვეული ღარები რამოდენიმედ ფუჭდება, ვინაიდან ლულის ტუჩის საფარი, ზუმბის ხახუნისაგან თანდათან ცვდება. ხოლო საფარი თუ გაცვეთილია, ზუმბა წმენდის დროს ლაყლაყობს და აზიანებს შაშხანის ლულას.

თუ რომ შაშხანის ლულაში ხვეული ღარები გაცვეთილია, ტყვია ლულიდან გამოვარდნისას ღებულობს მრუდე მიმართულებას და ამრიგად შეუძლებელი ხდება მარჯვედ მოხვედრა.

ამის თავიდან ასაშორებლად გამომუშავებულია წმენდის ახალი წესი, რომლის მიხედვით შაშხანის წმენდა სწარმოებს არა შაშხანის ლულის ტუჩიდან, არამედ ლულის სავაზნედან, ხოლო, რომ გაადვილებულ იქნას წმენდა, ამისთვის შაშხანას ამგრებენ ერთგვარ ხის დაზგაში; ამ წესით წმენდა უფრო სწრაფად და ადვილად სწარმოებს.

ი. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## გაერთიანებული კრება.

1-ლი ლეგ. 1-ლი ასეულის უჯრედი.

29 იანვარს ასეულში შესდგა უჯრედისა და ახკომკავშირის გაერთიანებული კრება. კრებაზე გაკეთებული იქნა მოხსენება პარტდისციპლინაზე. შემდეგ გარჩეული იქნა საკანტროლო ფურცლები და პარტიაში შესვლის მსურველთა განცხადებები.

პარტდისციპლინის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. წოწორიამ. ამხანაგმა ვრცლად გააშუქა პარტდისციპლინის ყველა საკითხები და შეეხო ამასთან დაკავშირებით სამხედრო დისციპლინასაც.

კრება შემდეგ გადავიდა საკანტროლო ფურცლების გარჩევაზე კომუჯრედის წევრების დასამტკიცებლად. კრებამ გამოიტანა შესაფერი შეფასება.

დასასრულ განხილული იქნა ამხ. ყაველაშვილის განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. „მისცეს მრავალი საკითხები და შესაფერისად იქნა შეფასებული მისი პოლიტიკური განვითარება, რომელიც დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. აღიძრა შუამდგომლობა მისი პარტიაში მიღების შესახებ.

მიმდინარე საკითხებში შემოტანილი იქნა განცხადება ასეულში კოოპერატიული წრის დაარსებისა და კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის ერთი წევრის დამატებითი არჩევის შესახებ.

პირველი მიღებული იქნა ცნობათ, ხოლო მეორის აზრი კრებამ მოიწონა და კიდევაც აირჩია ერთი შესაფერად მომზადებული ამხანაგი.

სამხკორი ა. დეისაძე.

## ბიუროკოლექტივმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

მეთაურთა სკოლა.

სკოლის ა. ლ. კ. კ. მე-2 უჯრედის მუშაობა კარგად მიმდინარეობს. იშვიათად ჩაივლის ისეთი დღეები, რომ ჩვენი უჯრედიდან არ დადიოდნენ სხვა და სხვა უჯრედებზე მიმაგრებული ამხანაგები, რაც მიზნათ ისახავს: 1) ჩვენი ურთიერთობისა და მტკიცე კავშირის გაბმა სხვა ორგანიზაციებთან. 2) კომკავშირელების ჩაბმა საერთო პრაქტიკულ საქმიანობაში, რომ ისინი აღიზარდონ წმინდა ლენინისტურად, გამოვიყვანოთ ისეთი მეთაურები, რომლებიც თვით აღზრდიან სხვა სხვა ამხანაგებს.

სამწუხაროდ ამხანაგების გააქტივება მაინც ვერ ხდება მიზანშეწონილად; ერთ და იმავე ამხანაგს აკისრებენ სხვა და სხვა საქმეების შესრულებას, დანარჩენები კი არავითარ საქმეში არ არიან ჩაბმული.

პოლიტსამმართველოს უფროსს ამხ. ბუბნოვის მიერ მოხსენებაში ნათქვამია, რომ პარტიულები და კომკავშირელები განტვირთულ უნდა იქნან ზედმეტი მუშაობისაგანო და არც ერთი პარტ-კომკავშირელი არ უნდა დარჩეს ისე, რომ ჩაბმული არ იქნას რაიმე საქმიანობაშიო. მაგრამ ეს ასე არ ხდება ჩვენთან და რამოდენიმე ამხანაგები დარჩენილი ვართ კოლექტიურ საქმიანობის გარეშე. უჯრედის ორგანიზატორი ამ საქმეს ყურადღებას არ აქცევს მიუხედავად იმისა, რომ პოლიტსამმართველოს ინსტრუქცია უჯრედების მუშაობის შესახებ კარგად იცის.

ვფიქრობთ ამას მხედველობაში მიიღებს ბიუროკოლექტივი და გამოასწორებს ნაკლს.

სამხკორი გ.

## რად ხდება ასე?

1-ლი მესანგრე ასეული.

ქუთაისის გარნიზონს აქვს აბანო, მაგრამ განრიგება წესიერად არ სწარმოებს. მაგალითად პირველ მესანგრე ასეული აბანოთი მხოლოდ ორჯერ სარგებლობს თვეში. არის შემთხვევა, რომ ოც დღეშიც არ გვიწევს ერთჯერ.

საჭიროა კომენდანტმა ყურადღება მიაქციოს ამას და წესდების თანახმად, საერთო წესით თავის დროზე მოგვცეს ჩვენც აბანო.

სამხკორი უხასაძე

## უსაათობა აბრკოლებს განწესებას.

მე-3 ლეგიონი.

ლეგიონში საგრძნობლად აფერხებს განწესებას ის გარემოება, რომ არა გვაქვს საათი, რომელიც საშუალებას მისცემდა მორიგე მეთაურებს თავიანთ დროზე დაერეკათ ზარი. საკუთარი საათებით ხელმძღვანელობა კი უწესრიგობას იწვევს განწესებაში.

საჭიროა ლეგიონმა შეიძინოს ერთი კედლის საათი და ბოლო მოეღოს არსებულ უწესრიგობას.

სამხკორი არაბი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ჩვენი ლეგიონის საპატიო წითელ არმიელები

ცხენ. ლეგიონი.

2 თებერვალს ცხენოსან ლეგიონში შესდგა მთელი შემადგენლობის გაერთიანებული კრება. კრებაზე გაკეთებული იქნა მოხსენება რემედასის შესახებ და შემდეგ მოხდა რემედასის უჯრედის პრეზიდიუმის არჩევნები.

შემდეგი სიტყვით გამოვიდა ამხ. ქაჯაია და აცნობა კრებას ლეგიონის გადაწყვეტილება საპატიო წითელ არმიელების არჩევის შესახებ.

კრება მხურვალე ტაშით შეეგება ამ ცნობას და საერთო სიხარული ოვაციებში გადავიდა, როდესაც საპატიო წითელ არმიელებად არჩეული იქნენ ამხ. შ. ელიავა, ს. ორჯონიკიძე, ლევანდოვსკი, ჩაიკოვსკი, ძუჭაიძე, ლ. სუხიშვილი და ლევ. გამყრელიძე.

უსურვებთ ჩვენს ძვირფას ამხანაგებს, რომ ჭირში და ლხინში ჩვენთან ყოფილიყვნენ და თავიანთ რევოლიუციონური გამოცდილებით და აღტყინებით კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენი ნაწილის სიძლიერესა და საბრძოლო უნარს.

გაუმარჯოთ მათ!

გაუმარჯოს ჩვენს ლეგიონს!

სამხკორი ს—ლი.

## ჩვენი მადლობა ჩვენს შეფს—ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატს.

მე-3 ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონს შეფად ყავს ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო და მისი თავმჯდომარე ამხ. მამია ორახელაშვილი. ჩვენი ძვირფასი შეფი არ გვივიწყებს და გვიწევს შესაფერ დახმარებას.

ამას წინად ლეგიონს ამხ. მამია ორახელაშვილმა გადასცა 500 მანეთი დახმარების სახით, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნაწილის მთელ შემადგენლობაზე.

ჩვენ ერთხელ კიდევ ვიძლევით პატიოსან მხედრულ, ფიცს, რომ ლეგიონი მედგრად იბრძოლებს ყველა იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც დასახული აქვთ ჩვენს დიდ ხელმძღვანელებს მშრომელი ხალხის უკეთესი მერმისის გამოსაჭედათ და მათი მტრების სრულიად განადგურებისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს შეფს ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს და მის წარმომადგენელს ამხ. მამია ორახელაშვილს.

დავალებით აკ. ჭკადუა.

## არა გვყავს ხელმძღვანელი.

ცხენ. ლეგ. 2-რე ესკადრონი.

ესკადრონში მომაგრებულია უმცროს მეთაურთა სკოლის მეორე მწყობრი, რომლებმაც ჯერაც არ იციან ვინ არის მათი ჯგუფის ხელმძღვანელი პოლიტ საათებში და ვინ უნდა ამეცადინოს ისინი.

ზემოხსენებული ესკადრონის პოლიტხელი უხერხულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. მას ხვეწნა უხდება ამხანაგებზე, რომ ვინმემ ამეცადინოს აღნიშნული ოცეული.

ასეთ მდგომარეობას დროზე უნდა მოეღოს ბოლო და დაინიშნოს ჯგუფისთვის ხელმძღვანელი.

სამხკორი მიწის მძვრელ.

## საჭიროა ექსკურსიები.

1-ლი ლეგიონი.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ექსკურსიებს საზოგადოთ ყველასათვის და კერძოთ კი სხვა და სხვა მიყრუებულ კუთხეებიდან ქალაქში მოსულ ,წითელი არმიელებისათვის.

ჩვენს რიგებში ამას დიდი ყურადღება ექცევა, მაგრამ მე განსაკუთრებით მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ ლეგიონის კლუბში შესაკეთებელი მუშაობა სწარმოებს და წითელ არმიელებს თითქმის ვეღარ ვართობთ. ეს დრო საუკეთესოა ექსკურსიებისათვის. ჩვენმა ხელმძღვანელებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას და დაგვეხმარონ ექსკურსიების მოწყობაში, სანამ კლუბი სრულიად არ დამთავრებულა.

მოვაწყოთ ექსკურსიები.

წ. არმ. გ. ფილია.

## უნდა აეკრძალოთ.

მე 4 ლეგ. კომენდანტის საყურადღებოდ.

აგერ სამი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც ლეგიონის პირველ ათასეულში ათეულის მეთაურები თავისუფლად იცვამენ და ქამარ შამურტყმელი, თავზე ჟოკე ქუდებით დაიარებიან. ლეგიონის სხვა ნაწილებში ასეთ მოვლენას არა აქვს ადგილი, ყველგან დაცულია ფორმის ტარების წესი და 1-ლ ათასეულში რად ხდება ეს? საჭიროა დისციპლინის განმტკიცებისათვის, მათაც აეკრძალოთ ასე თავისუფლად ჩაცმა.

კომენდანტის მოვალეობას შეადგენს ამისათვის თვალყურის დევნება.

სამხკორი სასხლეტი.

## რა აჯობებს?

წრეების ხელმძღვანელთა საყურადღებოთ.

ძალიან ხშირია ჩვენს ნაწილებში დრამების, კომედიების, და შეუფერებელ პიესების დადგმა. ავიღებთ პიესას და როგორც ავტორს დაუწერია ისე ვსდგამთ. არც მეტი, არც ნაკლები.

ძალიან იშვიათია ისეთი პიესა, რომელიც სავსებით ასურათებდეს ჩვენს ყოფა-ცხოვრებას!

რა არის საჭირო?

საჭიროა—ასეთი პიესების შევსება, ჩვენთვის შესაფერ პროგრამებისათვის შეფარდება და მით უკეთესი აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება.

ჩვენი წითელი ჯარის ნაწილებში არსებობენ სხვა და სხვა წრეები. ყველა ამ წრეების მიზანია—სკოლის გარეშე მუშაობის, საკლუბო—მასიურ მუშაობის კოლექტივიზაციის მოხდენა.

ყველა წრეები მუშაობენ და მაინც დრამ-წრე, მხოლოდ დრამ-წრე გამოდის და ისიც ხშირად შეუფერებელი პიესებით.

ამას ბოლო უნდა მოეღო[illegible] წრეებმა საერთო ძალით [illegible] და შეჰქმნან რაღაც ახალ[illegible] უფრო შესაფერი და მეტი [illegible] მზრდელობით მნიშვნელ[illegible] მქონი.

ამისთვის საჭიროა შეთანხმებული შრომა.

მასალები კი რამდენიც გნებავთ.

მოდის: „წითელი არმიის დღე“, „საქართველოს გასაბჭოების დღე“ და სხვა. მასალებს წინასწარ უნდა მოძებნ[illegible] და გადამუშავება, შეფარდება.

ძალებიც ყველგან არის, მხოლოდ მათ შეკრება და გამოყენება—სჭირიათ.

ჩვენ ერთსულოვნობისაკენ მოუწოდებთ—ყველა შეგნებულ ამხანაგებს, რათა ბოლო მოუღოთ შაბლონიურ პიესების უნიჭოდ გაზეპირებას.

ჩვენ უნდა მივეჩვიოთ მასალათა შეფარდებას და გადამუშავებას.

სამხკორი ჩვენი.

## კოლექტიური აბონემენტის შესახებ.

5-თე ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის ბიბლიოთეკიდან უმეტესათ კოლექტიური აბონომენტით იცემა წიგნები ასეულებზე, რაზედაც ხელს აწერს ლენ-კუთხის გამგე. უნდა აღვნიშნო რომ ჩემი შეხედულებით კოლექტიურ აბონომენტით წიგნების გაცემას არ აქვს დადებითი შედეგები. კოლექტირი აბონომენტით გაცემული წიგნები, რომელიც აწყვია ლენ-კუთხეში, ხშირად იკარგება, რადგან წიგნებს არ ყავს ლენკუთხეში მუდმივი ზედამხედველი, ხშირი შემთხვევაა, როდესაც ლენ-კუთხის გამგეს მოაქვს წიგნები გამოსაცვლელათ, მას აკლდება წიგნები.

ლენკუთხის გამგე თავს იმართლებს მით, რომ ის მუდმივათ ლენკუთხეში არ არის. მართლაც ლენკუთხის გამგეს აქვს ათასნაირი დავალებები. მას უწევს აგრეთვე განწესებაში გასვლა და სხვა. გარდა ამისა, ლენკუთხეში წიგნებს აფუჭებენ და ხევენ. მესამეც ის, რომ ბიბლიოთეკაში ხშირად აღარ მოდიან წითელ არმიელები. ერთი სიტყვით კოლექტიურ აბონომენტით წიგნების გაცემას ზარალის მეტი არაფერი მოაქვს. უმჯობესია რომ წითელ არმიელები თვითონ მოვიდნენ ბიბლიოთეკაში და თვითონ წაიღონ წიგნები, მაშინ აღარ ექნება ადგილი წიგნების დაკარგვას და გაფუჭებას.

სამხკორი ოგანოვი.

## მოგვეცით ჩვენი ხვედრი.

მთა თუშეთის სანაპირო რაზმი.

ჩვენს სანაპირო რაზმს რამოდენიმე თვეა რაც ჯამაგირი და ფეხსაცმელებისათვის გადადებული ხვედრი თანხა არ მიუღია. ფეხსაცმელებისათვის თვიურად 1 მან. 50 კაპ. იყო გადადებული. რამოდენიმე თვე გადის რაც ეს თანხა არ მიგვიღია ფეხსაცმელები შემოგვეგლიჯა და შესაკეთებელი ფული არა გვაქვს.

დროა მოგვექციოს ყურადღება ვისაც ეს ეხება და მოგვცეს ჩვენი ხვედრი ფული.

პავლე ჩ. ჩქანიშვილი.

## სადილი თავის დროზე გვინდა.

1-ლი ლეგ. სამნეო გუნდი.

ლეგიონის ბატარეიასა და სამნეო გუნდს ერთად უმზადდებათ სადილი. ამასთანავე ეს ნაწილები საგრძნობლად არიან ერთმანეთისაგან დაცილებული. სადილი მზადდება ბატარეის სამზარეულოში, მაგრამ სამნეო ნაწილს თავის დროზე არ გვაძლევენ სადილს. ყოველ დღე ჩხუბი და აურზაური აქვთ მორიგეებს სადილის გარშემო.

სამნეო ნაწილის უფროსმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას და ბოლო მოუღოს მას.

წ. არმ. მამკოდელი.

# ...გორ უნდა აწარმოოს დღიური ბიბლიოთეკარმა.

(ასეულის ბიბლიოთეკარების მითითება).

...ასრული იხილეთ ჩვენი გაზეთის მე-19 (1014 №-ში).

...აქტიურ მკითხველთა ბირთვში.

...აღრიცხვა იმ წ. არმიე...ბა, რომლებიც შეიძლება ...ულ იქნეს ბიბლიოთე...ტიურ მკითხველთა ბირ...

...შენიშვნები თითონ აქ...ე (შეძლებისდაგვარად ვრ...ით შეიტანეთ ის კითხვები, ...მლებიც აქტიურ მკითხვე...ბს აინტერესებთ. მათ მიერ ...თხულ წიგნებზე და იმ მუ...აზე, რომელშიდაც ისინი ...ნაწილეობენ, ბიბლიოთეკა...ს დასახმარებლათ).

...გაზეთთან მუშაობა.

1) რომელ გაზეთებზე სწარ...ებს მუშაობა.

2) რა მუშაობა სწარმოებს ...ზეთზე.

VI. საცნობო მუშაობაზე.

1) შენიშვნები საცნობო მუ...აობაზე უცნობ სიტყვათა და...ის დართვა (როგორი კითხვე...ი შემოდის, განსაკუთრებული ...ურადღებით უნდა მოვეპყრათ ...მ სიტყვებს, რომლებიც ან ...ულ არ ესმით, ან ცუდათ ეს...ს თითონ ბიბლიოთეკარსაც.

2) თუ ეს სიტყვები და პა...უხები გადაგვაქვს სპეციალურ ...ცნობ სიტყვათა რვეულში, ...რგებლობენ თუ არა ამ რვე...ლით სხვა წითელ არმიელე...ბი როგორც ცნობარით.

3) თუ უცნობ სიტყვათა და...ის მაგიერ გვაქვს შეკითხვე...ის ყუთი, ჩაიწეროს მასი მუ...აობა.

4) როგორ მუშაობს „წერილების მაგიდა“ (შეძლებისდაგვარათ აღირიცხოს ყველა წ. არმიელები, რომლებიც სარგებლობენ მაგიდით და ამასთან ბიბლიოთეკარის და განსაკუთრებით მკითხველთა აქტივის დახმარება წერილების დაწერაში).

VII. ბიბლიოთეკარის თვითგანვითარებით მუშაობაზე.

1) ჩაწერა, თითონ ბიბლიოთეკარის მიერ წაკითხულ წიგნებისა.

2) შეძლების დაგვარათ წაკითხული წიგნების ანოტაციის მოცემა.

VIII. სამხედრო კუთხეზე.

1) თუ არსებობს ქოხ-სამკითხველოს ან სამოქალაქო ბიბლიოთეკის კავშირი სამხედრო კუთხესთან, რაში გამოიხატება ეს კავშირი.

ჩვენი კითხვათა სამაგალითოთ მოყვანილი სისტემა არ უნდა აშინებდეს ბიბლიოთეკარებს „მე ისედაც ბევრი სამუშაო მქონდა! კიდევ, დაიწყეს რა!“... შეიძლება წამოიძახოს ზოგიერთმა ამხანაგმა. თავისთავათ ცხადია, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი ბიბლიოთეკარისგან არ სრულდება ყოველდღიურად. ყველა ეს სამუშაოები სრულდება ნაწილ-ნაწილ, დღე-დღეზე. ამაზე მხოლოთ უნდა გვახსოვდეს და შეგვქონდეს ჩვენი შთაბეჭდილებები და დაკვირვებები თავის დღიურში.

ელ. მურადოვა.

## ამხ. ამხ. წითელარმიელებო, გამოიწერეთ და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

# ბიბლიოგრაფია.

**ნათაძე.—საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა. ტ. „მეცნ. საქართველოში“ 1925 გვ. 131. ტომი I.**

სოციოლოგია საერთოდ ახა...ი მეცნიერებაა, მისი ამოცა...ბი და მოქმედების ფარგალი ...ც იმდენათ ჩამოყალიბებულია ...ომ ყველასათვის უდაო იყოს, ...გრამ ყოველი სინთეტიური ...სიათის მუშაობა ისტორიაში ...ას ახალ მასალას აძლევს. ამ ...ხრივ, პატივცემულ ავტორის ...ქმისა არ იყოს, საქართველოს ...სტორიის ამ მხრივ განხილვა ...და გაშუქება მეტათ სასარგებ...ლოა საერთოთ მეცნიერებისათვის და კერძოთ მეტისმეტათ საჭიროა დღევანდელ ქართველ მკითხველისათვის.

საქართველოს ისტორია, ამ მხრივ ჯერ არავისაგან არ ყოფილა შესწავლილ-დამუშავებული და არ შეიძლება უდიდესი სიმპატიით და ყურადღებით არ მოვეკიდოთ გ. ნა...ძის ამ ახალ ნაშრომს. ჩვენი ...ტორია საერთოთ უფრო მა...ების დაგროვებას გავდა ...ე მის დამუშავებას და ეს ნაკლი, რომელიც ძლიერ აძნელებდა პრაქტიკულ მკითხველისაგან მის შესწავლას, დღეს ჩვენდა სასიხარულოთ უკვე დაძლეულია.

ზემო დასახელებულ წიგნში ყოველგვარ ზედმეტ დაგროვების გარეშე მკაფიოთა და ნათლათ, მშვენიერი მოქნილი ენით მოთხრობილია საქართველოს ისტორია უძველეს დროიდან უმთავრესათ ეხლანდელ ტერიტორიის რელიეფთან დაკავშირებით და ყოველი მოვლენა ახსნილი—ეკონომიური თვალსაზრისით. მეტათ საინტერესოთაა გარკვეული ქალაქ მცხეთის მნიშვნელობა, როგორც ქართველ ტომთა მთავარ ეკონომიურ-გეოგრაფიულ ადგილისა და ტფილისის დაარსების მიზეზები და მისი ისტორია. წმინდა ეკონომიური თვალსაზრისითაა განხილული აგრეთვე არაბების შემოსევა და მისი ნიშვნელობა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური სიძლიერეზე.

თხზულების პირველი ტომი მოდის მხოლოთ ამ ხანამდე და ზოგიერთ ფაქტების საინტერესო განმარტებას იძლევა.

მიუხედავათ იმისა, რომ ბევრი საკითხი პრობლემატიურათაა დასმული და გადაჭრილი, მაინც თავისთავათ საკითხთან მიდგომაც ამ მხრივ მეტათ დადებითია. ეს წიგნი, საქართველოს ისტორიის შემსწავლელთათვის ძლიერ საჭიროა და ყოველმა მეთაურმა და პოლიტმუშავემ, თუ დაინტერესებულია ამ დარგით, უნდა წაიკითხოს. ამას გარდა წიგნი გამოდგება სამხ. სკოლებში როგორც სახელმძღვანელო და აგრეთვე დამხმარე წიგნათაც.

გამოცემულია ლამაზათ და ღირს ერთ მანეთ ნახევარი.

გრ. შავგულიძე.

# უცხოეთის არმიებში

**რევოლიუციონური პროპაგანდა და სამხედრო საველე სასამართლოები ლიტვის არმიაში.**

ლიტვის მთავრობის რეაქციონური პოლიტიკა ანადგურებს და მუდმივ ეკონომიურ კრიზისებში აგდებს სახელმწიფოს. მოსახლეობის უკმაყოფილება ყოველ დღიურად იზრდება და ამის მიხედვით იზრდება რევოლიუციონური მოძრაობაც.

კოვნოელ კორესპონდენტის ცნობით, რევოლიუციონური პროპაგანდა ვრცელდება ჯარის-კაცებს შორისაც. მთავრობა ძლიერ შეაშინა ამ მოვლენამ. ნაწილებში ამუშავდენ სამხედრო—საველე სასამართლოები. უბრალო ეჭვის შეტანითაც კი რევოლიუციონურ პროპაგანდაში მონაწილეობისათვის ჯარის-კაცებს ხვრეტენ და ასახლებენ. ყაზარმებში აუარება ჯაშუშები და პროვოკატორები იქნა შეგზავნილი.

ამას წინად კოვნოს გარნიზონში, ერთი პროვოკატორის საშუალებით აღმოჩენილი იქნა როვოლიუციონური ჯარის-კაცთა ჯგუფი. ზოგიერთი გაიქცენ, ბევრი დაიჭირეს და სამხედრო—საველე სასამართლოს მიერ მიესაჯათ ხანგრძლივი საპყრობილე.

პროვოკატორმა დიდი ჯილდო მიიღო მთავრობისაგან ამისათვის, მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ ის მოკლული იქნა.

**სამხედრო რეფორმა ბელგიაში.**

ახალი პროექტებით, რომელიც დასამტკიცებლად წარუდგინა ბელგიის სამხედრო მინისტრმა, ბელგიის არმიის 2 დივიზიამდე შემცირების გარდა მოკლდება სამხედრო სამსახურის ვადაც, მხოლოდ 1926 წ. გაწვევისათვის. მინისტრის პროექტით ეს შემცირება იქნება შემდეგი: ვადა შემცირებულია 10 თვემდე. ტეხნიკური ჯარებისათვის 12 თვემდე, ხოლო ცხენოსანი ნაწილებისათვის 13 თვემდე.

ბელგიის სოციალისტებში ამ პროექტმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მათ უნდათ კიდევ შემცირედს შეიარაღებულ ძალების რიცხვი.

სამხედრო მინისტრმა ამის შესახებ განაცხადა, რომ ჯარის შემცირების საკითხში მან მიაღწია უკიდურეს საზღვარს და თუ მისი პროექტი არ გავიდა ის ამჯობინებს გადადგომას.

# ახალი ამბები.

— **ტრამვაის რონოდები.** ტფ. აღმასკომმა შეუკვეთა მოსკოვ ში 20 ახალი აღნაგობის (კონსტრუქციის) რონოდა.

— **ახალი ლიანდაგი.** ტრამვაის სამმართველო შეუდგა ტრამვაის მეორე ლიანდაგის გაყვანას დიდუბეში.

— **მიმდინარე წლის დასაწყისში** ტფილისში ითვლებოდა 10.694 უმუშევარი.

— **სესხი.** სას.-სამ. ბანკმა ოსეთის მეტყავეებს მისცა 5 ათასი მანეთი სესხი წარმოებისათვის.

— **გეოლოგიური ინსტიტუტის** დასაარსებლად უმ. ეკონომიურ საბჭომ გადასდო 19 ათასი მანეთი.

— **შემნახველი სალაროები.** ამჟამად საქართ. ირიცხება 165 შემნახველი სალარო, რომლებშიც ითვლება 2.300 წევრი.

# ამბები სოფლებიდან

**მიწა გლეხებს.** აჯამეთის აგარაკში, ქუთაისის აღმასკომმა გაუნაწილა უმიწაწყლო გლეხებს 65 დესეტინა სახნავი მიწა.

**ხიდის აგება.** რაჭის აღმასკომმა დაადგინა აგოს მდინარე რიონზე სოფ. ამბროლაურთან 15 საჟენიანი რკინის ხიდი.

**სოფ. თორას** (ბაკურიანის რაიონი) გლეხებმა დაადგინეს ააგონ სკოლის ახალი შენობა.

## პასუხი შეკითხვებზე.

**ნ. ბანდალოვს.** გვაცნობეთ რა მიზეზით იყავით დათხოვილი მეთაურთა სკოლიდან? ამ პასუხის შემდეგ შეგვიძლია გიპასუხოთ თქვენს შეკითხვაზე.

**საგინაშვილს.** მუშფაკი მოთავსებულია ბებუთოვის ქ. № 20. მიმართეთ ცნობის მისაღებად მის ადმინისტრაციას!

**მუზაშვილს.** თუ შეცდომით ხართ გაწვეული, მიმართეთ ტერსამმართველოსთან არსებულ მთავარ მიმღებ კომისიას.

**ხახუტაშვილს.** ნაწილიდან ნაწილში გადასვლა აკრძალულია.

**ლაგოდეხელს.** მუშფაკში სიარული შეგიძლიათ მხოლოდ თქვენი უფროსის ნებართვით.

**მეთაურ ნ. გ.—ძეს.** თქვენი შეკითხვის პასუხს ნახავთ რევსამხსაბჭოს ბრძანება № 8—25 წ.

**ვ. ულენტს.** კადრიდან ცვალებად შემადგენლობაში გადასვლა არ შეიძლება.

**ლ—ს.** თუ ტაბელით გეკუთვნით შეგიძლიათ ატაროთ საკუთარი რევოლვერი.

**ვ. კიბაიძეს.** თანახმად რევსამხსაბჭოს ბრძანებისა № 30—26 წ. ვინც კომუნალურ ფულს არ ღებულობს, მათ მიეცემათ საოჯახო ულუფა.

**№—ს.** სავეტერინარო ფერშლის სკოლა არის ლენინგრადში. ეროვნულ ნაწილებიდან იქ უკვე გაგზავნილი არიან წ. არმიელები.

**ბაბიჩეს.** უმცროსი მეთაური თუ უცოლშვილოა, მას არ შეუძლია კერძო ბინაზე ცხოვრება.

**ულ—ნტს.** დაგვიანებულია, თავის დროზე უნდა წარგედგინათ ოჯახურ მდგომარეობის შესახებ საბუთები. ყოველ შემთხვევაში მიმართეთ მთავარ მიმღებ კომისიას.

**მჭედელს.** თქვენ უნდა იმსახუროთ სამი წელიწადი (ბრძანება № 419—24 წ.

**ლორიას.** სამხედრო-საექიმო აკადემიაში შესასვლელად საჭიროა არა სამსახურის სტაჟი, არამედ მუშფაკის გათავება. დაწვრილებით ცნობებს შეგიძლიათ გაეცნოთ რევსამხსაბჭოს ბრ. № 907—25 წ. დართულ დებულებაში.

**ოვანოვს.** მეორე ხარისხის შეღავათი აუცილებლად არ ანთავისუფლებს სამსახურიდან კადრის ნაწილებში (ბრ. № 965—25 წ.)

**ი—ძეს.** ტერნაწილში კადრიდან გადასვლა არ შეგიძლიათ (ბრ. № 834—25 წ.)

**ხეთელს.** ოჯახში დარჩენილი და ითვლება შრომის უნარს არა მოკლებულად, ამიტომ თქვენ არ გაგანთავისუფლებენ.

**წ. არმიელს.** მიწის მისაღებად მიმართეთ მაზრის მიწადმოქმედების განყოფილებას.

**ნოსირელს.** სამსახურის გათავების შემდეგ, როცა ჩადგებით ადგილში, შეგიძლიათ აღდგენილი იქნეთ კავშირის წევრად.

# ჩვენი ფოსტა

**ამხ. გულშემატკივარს.** (1-ლი ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „როდის მიაქცევენ ყურადღებას ამ გარემოებას“ გადაეგზავნა 1-ლი დივიზიის პოლიტგანყოფილებას ზომების მისაღებათ.

**ამხ. მოლოდინს.** (1-ლი ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „...ჭიროა ყურადღების მიქცევა“, გამოდგება კედლის ...ზეთისათვის.

**ამხ. ს. იმნაიშვილს.** (1-ლი ლეგ.) თქვენი წერილი რ... ლიუქსემბურგსა და კარლ. ლიბკნეხტზე, დაგვიანებ... მივიღეთ. არ დაიბეჭდება.

**ამხ. წითელს.** (1-ლი ლეგ.) თქვენი წერილები მოქეიფეს... ყურადღების შესახებ გამოდგება კედლის გაზეთი...ვის.

**ამხ. პ. ნადარეიშვილს.** (ცხენ. ლეგიონი) თქვენი წერ... ამხ. „სულორის პირელის საპასუხოდ“ დაუსაბუთებე... არ დაიბეჭდება.

**ამხ. ნიკ. გორდეზიანს.** (სამხედრო ჰოსპიტალი) მოგვაწ... კორესპონდენციები და ჩვენი სამხკორი იქნებით.

**ამხ. ჭყონიას.** (ნ-თე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია ... გლოვიარო დღის ჩატარების შესახებ დაგვიანებუ... მოიწერეთ სხვაზე.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის მე-7 ასეულის კომ-უჯრედში შემატონილი აქვთ განცხადება კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ ამხ. ამხ. ა. ლ. კ. კ. წევრებს:

1. ნიკოლეიშვილ თეოფანეს, (ქუთ. მაზრა გომის თემი). 2. სახოკია თეოფილეს (სენაკის მაზრა). 3. ქარჩავა აკაკის, (ოზურგეთის მაზრა, სოფ. ლიხაური).

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს მათი მიღების შესახებ გთხოვთ გადმოგზავნოთ ზემო აღნიშნულ მისამართით ერთი კვირის განმავლობაში.

კომუჯრედის მდივნის მაგ, ა. ოდიშარია.

ქართულ სამხედრო პოლიტსკოლის უჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება ახკომკავშირის წევრ გიორგი ესტატესძე მამასახლისოვს კომპარტიის კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ.

გთხოვთ თუ ვინმეს რაიმე უარყოფითი იცით მის შესახებ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში სკოლის კომ-უჯრედში.

ნ. დ. ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.

დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი მ. სიმონგულოვი